სსიპ სახელმწიფო ენის
დეპარტამენტი

LEPL STATE LANGUAGE
DEPARTMENT

№ 25-07

19/02/2019

GRASS
REFORMANDA
სსიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 13
თარიღი: 21 02 2019 წ.

ფაქტ-მეტრის რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

გიგზავნით საჯარო ინფორმაციას, თქვენი 2019 წლის 11 თებერვლის #33 წერილთან დაკავშირებით, დანართების შესაბამისად.

დანართი: 17 ფურცელი.

პატივისცემით,

დეპარტამენტის თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, Georgia

✆: (+995 32)2 990 900(25 26)
www.enadep.gov.ge

სსიპ „სახელმწიფო ენის დეპარტამენტის" 2018 -2019 წლების ხარჯთაღრიცხვა (სახაზინო კოდი 53 00; 52 00; ს.ნ.205349979)

(ლარებში)

№	დასახელება	2018 წელი		2019 წელი	
		დამტკიცებული გეგმა	შესრულება	დამტკიცებული გეგმა	შესრულება 12.02.2019 წლის მდგომარეობით
1	სულ ხარჯები	500000	492568	500000	34834
2	მომუშავეთა რიცხოვნობა	14	14	14	14
3	შრომის ანაზღაურება	387455	387146	434230	27630
4	საქონელი და მომსახურება	54226	47175	65000	6434
5	სუბსიდიები	41731	41730		
6	სოციალური უზრუნველყოფა	12060	12059	770	770
7	არაფინანსური აქტივები	4528	4458		

შენიშვნა:

1. 2018 და 2019 წლების შრომის ანაზღაურების გეგმას (შესრულებას) შორის სხვაობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: თანამშრომლების სამსახურში მიღების პროცედურების გამო დეპარტამენტმა სრული დატვირვით ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის მარტის შუა რიცხვებიდან, რამაც შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოშვა ეკონომია.

2. 2019 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით დეპარტამენტში დასაქმებულია 2 შტატგარეშე თანამშრომელი და მათი წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს 27600 ლარს, საქონელი და მომსახურების ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის
2018 წლის 11 იანვრის
№19 განკარგულების

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

№	შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო თვეში
1	ხელმძღვანელობა		
	თავმჯდომარე	1	5900
2	სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის სამსახური		
	სამსახურის უფროსი	1	2200
	სპეციალისტი	2	1000
3	სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური		
	სამსახურის უფროსი	1	2200
	საინფორმაციო-ანალიტიკური კვლევის მენეჯერი	1	1900
	სპეციალისტი	2	1000
4	ადმინისტრაციული სამსახური		
	სამსახურის უფროსი	1	3500

	ფინანსური და შესყიდვების მენეჯერი	1	2100
	ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი	1	1600
5	სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური		
	სამსახურის უფროსი	1	2200
	იურისტი	1	1700
	მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	2100
		14	29400

დანართი 3

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

2018 წლის ანგარიში

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ენის დეპარტამენტი შექმნილია სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 დეკემბრის №540 დადგენილებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება, დეპარტამენტის თავმჯდომარე დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2017 წლის 31 ოქტომბრის N287 ბრძანებით, ხოლო შესაბამისი პროცედურების დაცვის შემდგომ თანამშრომლებით დაკომპლექტდა 2018 წლის 6 მარტს.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან შეიქმნა ექსპერტთა კომისია; განისაზღვრა მისი ქვეკომისიები (ქართული ენის ნორმალიზაციისა და ტერმინოლოგიის; ენის დოკუმენტირების, კვლევისა და განვითარების ქვეკომისიები); დაინიშნა კომისიისა და ქვეკომისიის თავმჯდომარეები (კომისიის თავმჯდომარე – პროფ. მერაბ ჩუხუა, ქვეკომისიის თავმჯდომარეები: პროფ. ნანა მაჭავარიანი, პროფ. თამარ ვაშაკიძე);

მიზანი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ძირითადი მიზნებია:

1. სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;
2. სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია;
3. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება;
4. სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება/ხელშეწყობა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

მიმართულებები

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ძირითადი მიმართულებებია:

1. სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;
2. სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია;
3. ქართული ენის ფუნდამენტური შესწავლა, დოკუმენტირება, პოპულარიზაცია;
4. აფხაზური ენის ფუნდამენტური შესწავლა, დოკუმენტირება, პოპულარიზაცია;
5. ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, ფუნდამენტური შესწავლა, დოკუმენტირება, პოპულარიზაცია;
6. საქართველოში გავრცელებული ენების დაცვა, შესწავლა, დოკუმენტირება, პოპულარიზაცია;
7. სახელმწიფო ენების სწავლება, ენობრივი ინტეგრაცია.
8. ენის ტექნოლოგიების დამუშავება, განვითარება და დანერგვა; ციფრული ტრანსფორმაციის გლობალურ პროცესში ჩართვისთვის სახელმწიფოს პროგრამული მზაობა.
9. სახელმწიფო ენის გეოგრაფიის განვრცობა – ქართველოლოგიის ცენტრებთან კონტაქტები და თანამშრომლობა, დიასპორებთან მუშაობა, დისტანციური პროგრამებისა და რესურსების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა.
10. ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი პრაქტიკის შენარჩუნება, სწავლება, პოპულარიზაცია და დაცვა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის პროექტი

- დეპარტამენტში შეიქმნა სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის პროექტი და წარედგინა სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას. პროგრამის მიზანია ქართული ენის, როგორც საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო იდენტობის, მრავალეროვანი საქართველოს კულტურული და საგანმანათლებლო მთლიანობის, კულტურათა შორის ეფექტური დიალოგის ფუნდამენტური საყრდენის, საყოველთაო გამოყენების, გავრცელებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

  პროექტის ცალკეული კომპონენტების განხილვა დაგეგმილია ექსპერტთა კომისიის ბაზაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფებში. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის საბოლოო წარდგენამდე იგეგმება მისი განხილვა საზოგადოების ფართო წრეებთან და ყველა დაინტერესებულ საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუციასთან;

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

პროექტები:

- მომზადდა და გამოიცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პირველი ბიულეტენი – „გავრცელებულ ენობრივ შეცდომათა ლექსიკონი“; მისი ელექტრონული ვერსია განთავსდა დეპარტამენტის ვებგვერდზე;
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მხარდაჭერით შეიქმნა სატელევიზიო პროექტი „ილაპარაკე ქართულად!“. პროექტის ფარგლებში იქმნება ვიდეორგოლები შემდეგ თემებზე:
  - ❖ ცნობილი გამონათქვამების ისტორიები;
  - ❖ მოგზაური სიტყვები;
  - ❖ შემოჩვეული ბარბარიზმები;
  - ❖ ვწეროთ და ვიმეტყველოთ სწორად.
- სახელმწიფო დეპარტამენტმა ლიდზის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოსცა ორი სასწავლო ტიპის ლექსიკონი, რომლებიც აგებულია სიხშირული ლექსიკონების შექმნის პრინციპით: ქართულ-აფხაზურ-ინგლისური და ქართულ-ოსურ-ინგლისური სიხშირული ლექსიკონები;
- თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად შეიქმნა: ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი; იმერული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი; თუშური დიალექტის კორპუსული ლექსიკონი. წიგნები წარდგენილი იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე;
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარდგენილი იყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი გამოცემა – პროფ. თინათინ ბოლქვაძის ინგლისურენოვანი მონოგრაფია „საქართველოს ენები“;
- შეიქმნა ქალაქ თბილისის ქუჩების დაწერილობის ინგლისური თარგმანების უნიფიცირებული ბაზა (2000-ზე მეტი დასახელება), რომელიც ექსპერტთა კომისიის დასკვნის საფუძველზე უნდა წარედგინოს თბილისის მერიას ქუჩების სახელების ინგლისურენოვანი თარგმანების უნიფიცირებისათვის. ამასთან ერთად, შემუშავდა პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამგვარ უნიფიკაციას და სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად;

სახელმწიფო ენის დეPARტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

- ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით დეპარტამენტმა მოამზადა მსოფლიოს საფეხბურთო ნაკრებთა შემადგენლობების სწორი დაწერილობების სარეკომენდაციო ცხრილი, რომელიც წარედგინა სპორტის ჟურნალისტებს;
- საქართველოში სუმოს პოპულარობის გამო გადაწყდა ჯერ კიდევ არ დამკვიდრებული სუმოს ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისობების დადგენა და გავრცელება, ქართული სუმოს ქომაგებთან, იაპონურის ენის სპეციალისტებთან ერთად დეპარტამენტი ამზადებს გამოსაცემად სუმოს ქართულ ტერმინოლოგიას.

სახელმწიფო ენის დეPARTAMENTI
STATE LANGUAGE DEPARTMENT

აბრების საკითხი:

- სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ოფიციალური წერილით ასობით იურიდიულ და ფიზიკურ პირს უსასყიდლოდ გაუწია რეკომენდაცია აბრებზე წარწერების კანონის შესაბამისად განთავსებასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის მასშტაბით აღწერენ აბრებს და ადგილზეც გასცემენ რეკომენდაციებს. ამ დროისთვის აღწერილია რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, აკაკი წერეთლის, პეკინის გამზირებზე, კოტე აფხაზის, ირაკლი აბაშიძის ქუჩებზე, დავით აღმაშენებლის ხეივანზე, ბელიაშვილის ქუჩაზე, ღვინის აღმართსა და რიყის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული აბრები;
- დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ბათუმში, ხოლო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ახალციხეში აღწერეს აბრები და ადგილზეც გასცეს რეკომენდაციები;
- დეპარტამენტმა შემოწმებული ქუჩების აბრების აღწერის შედეგად შეიმუშავა საანალიზო ბაზა. ბაზას ასევე ემატება დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე შესწორებული ვარიანტები;
- რამდენიმე ქუჩის სრული გამოკვლევის საფუძველზე მომზადდა ინსტრუქცია ქუჩის დასახელებების პირველადი აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და კლასიფიკაციისათვის. ინსტრუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სამუშაო ინსტრუმენტი მუნიციპალური ორგანოებისთვის, ასევე, როგორც სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის კომპონენტი უმაღლესი განათლების სისტემაში;
- დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ქუჩის დასახელებების პირველადი აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და კლასიფიკაციის ინსტრუქცია გავაცანით რუსთავის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურების თანამშრომლებს.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

ნორმები და სტანდარტები:

- სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო სხვადასხვა ენათა ქართულად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების შემუშვება. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიასთან ერთად შემუშავდა ქართული ენის ბგერითი სისტემის ინგლისურად ტრანსლიტერაციისა და ინგლისური ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსლიტერაციის განახლებული და შევსებული წესები. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ჩინური, იაპონური, არაბული და სპარსული ენების ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსლიტერაციის წესების შესამუშავებლად შესაბამისი ენების სპეციალისტების ჩართვით.
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან საკუთარი სახელების სწორი ქართული და ინგლისური დაწერილობის ბაზების შესაქმნელად.
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა დაიწყო მუშაობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების სიტყვაფორმის სისწორის გადამოწმების, სტილისტური, ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების, ასევე, მისამართების წარმოებისას გამოყენებულ ტერმინთა შემოკლებული ვერსიების მართლწერასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის ბაზაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა ქართული ენის ფლობის დონეების ახალი ზოგადი სტანდარტი.

საერთაშორისო ურთიერთობები:

- ეროვნული უმცირესობების საკითხებში ევროპის უმაღლესი კომისარი ლამბერტო ზანიერი საქართველოში ყოფნისას შეხვდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლებს, გაეცნო დეპარტამენტის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს;
- 2018 წლის დეკემბერის თვეში ეროვნული უმცირესობების საკითხებში ევროპის უმაღლესმა კომისარმა ლამბერტო ზანიერიმ ჰაგაში მიიწვია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე და დეპარტამენტის თანამშრომლები. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებისა და ენობრივი მრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, დასახეს თანამშრომლობის გეგმები საქართველოში სამოქალაქო თანხმობისა და ინტეგრაციის მიმართულებით.
- 2018 წლის 12 დეკემბერს სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა შეხვედრა გამართა დიასპორის წარმომადგენლებთან საქართველოს საელჩოში, ნიდერლანდების სამეფოში, საქართველოს ელჩის, ბატონ გიორგი შარვაშიძის ხელშეწყობითა და ორგანიზებით.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება:

- სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ დაგეგმილ სემინარში, რომელზეც განხილული იყო სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნების ზოგადი საკითხები, ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ოფისის პრაქტიკა, ასევე უელსისა და სამხრეთ ტიროლის მაგალითები;
- 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების დოკუმენტაციის პროგრამისა და ლაიბნიცის ზოგადი ენათმეცნიერების ცენტრის დოკუმენტური ლინგვისტიკის საშემოდგომო სკოლაში, რომელიც ქალაქ ბერლინში გაიმართა;
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში" გამართულ ტრენინგში. ტრენინგი ეხებოდა სასაქონლო ნიშნის სახეებს, მისი რეგისტრაციის, დაცული და დაუცველი ნაწილების ამოცნობისა და გამოხატვის საშუალებებს, მათი ტრანსლიტერაციის პრობლემებს.

ღონისძიებები:

- მოეწყო სამუშაო შეხვედრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;
- აქტიური მუშაობა მიდის თბილისის, ახალციხის, ახალქალაქის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამხარეო ადმინისტრაციასთან;
- ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მუშაობის გაცნობის მიზნით, სახელმწიფო ენის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში (ბათუმი, ახალციხე, თბილისი, ლეიდენი...);
- 2018 წლის 21 თებერვალი, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა საქართველოში მოქმედი 30-მდე დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; დეპარტამენტის მიზანი არის არა მხოლოდ სახელმწიფო ენის სწავლებისა და გავრცელებისათვის ხელშეწყობა, არამედ უმცირესობათა ენებისთვის ურყევი გარანტიების შექმნა მშვიდი სამოქალაქო ცხოვრებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 21 თებერვალს მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (მოწვეული პირები: უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების, დიპლომატიური კორპუსის, ენობრივ უმცირესობათა (დიასპორები) ორგანიზაციების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები);
- 2018 წლის 11-16 აპრილს, ენის დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ქართული ენის კვირეული, რომელიც მოიცავდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციებსა და მრავალფეროვან პრეზენტაციებს:
  - საჯარო ლექცია – ქართული ანბანი და ქართული ენა (ისტორია და თანამედროვეობა), სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  - სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრთან ერთად დედაენის დღისადმი მიძღვნილი პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებში ქართული ენის მართლწერის ტესტი ჩაუტარდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების 38 საჯარო მოხელეს;

- ❖ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – „სტუდენტთა ქართველოლოგიური კვლევები“;
- ❖ მოძრაობის „არა ბარბარიზმებს“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეთა კონკურსში „გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას!“ გამარჯვებული კონკურსანტების დაჯილდოება;
- ❖ სამეცნიერო პროექტის – „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საჯარო ინფორმირებისათვის სახელმწიფო ენის გამოყენების პრაქტიკის კვლევა“ შედეგების წარდგენა.

- საერთაშორისო კონფერენცია „ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“ (2018 წლის 14-16 სექტემბერი);
- რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკა და სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკა“ (2018 წლის 22-23 სექტემბერი);
- მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ (2018 წლის 13-15 ოქტომბერი);
- ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო სიმპოზიუმი (2018 წლის 22-24 ნოემბერი);
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ექსპერტთა კომისიასთან ერთად იმსჯელა ლიტვისთვის ავთენტური სახელით – ლიეტუვათი შეცვლის საკითხზე და გასცა შესაბამისი რეკომენდაცია;
- მომზადდა ცვლილებების პროექტები სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონსა და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონში შესატანად;
- სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გეგმავს ოკუპირებული ტერიტორიების ტოპონიმიკის აღწერის ერთიანი ბაზის შექმნას, ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და გაიმართა რამდენიმე შეხვედრა.

- სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა ქართული ენის სწავლებასა და პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები დააჯილდოვა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
STATE LANGUAGE DEPARTMENT

მემორანდუმები:

- გაფორმდა მემორანდუმები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის, სულხან-საბა ორბელიანის, სამცხე-ჯავახეთის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციასთან.
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის 2018 წლის 24 მაისს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში შედგა თანამშრომლობა კონკურენციის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის პროექტის შექმნაზე. ერთობლივი მუშაობის შედეგად შეთანხმდა 170 ტერმინი.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის გეგმები:

1. სახელმწიფო ენის პროგრამის საბოლოო ტექსტის შემუშავება სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიასთან ერთად, საზოგადოების ფართო მასების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების და სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუციების მონაწილეობით;
2. სახელმწიფო ენის პროგრამის ფართო საზოგადოებრივი განხილვა და დამტკიცება ექსპერტთა კომისიის მიერ;
3. შემუშავებული პროგრამის წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის;
4. გაეროსა და ევროსაბჭოს ოფიციალური და სამუშაო ენების ბგერითი სისტემების ტრანსლიტერაციის წესების დადგენა;
5. სახელმწიფო ენის დეპარტმანეტის ექსპერტთა კომისიის წევრებთან ერთად ქართული ენის ნორმების დადგენა;
6. ტერმინოლოგიის ეროვნული სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება;
7. დარგობრივი ტერმინოლოგიური სტანდარტების დადგენა და დამტკიცება;
8. გარე წარწერების კვლევა, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება დარღვევის გამოსწორების მიზნით. შედეგების ანალიზი;
9. ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობა ენობრივი პოლიტიკის, აფხაზური ენისა და ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხებზე;
10. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფო ენის სწავლებისა და უმცირესობათა ენების დაცვის მიმართულებით;
11. თანამშრომლობა საქართველოს საელჩოებთან ემიგრანტებთან მუშაობის მიმართულებით;
12. საინფორმაციო, საგანმანათლებლო ღონისძიებების,სატელევიზიო სარეკლამო რგოლების მომზადება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართული ენის ნორმების პოპულრიზაციას და გაზრდის ამ მიმართულებით საზოგადოების ფართო ფენების ინტერესს;
13. საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების კონკრეტული პრობლემების კვლევის, ანალიზის, ზედამხედველობის მიზნით;
14. გვარ-სახელების, გეოგრაფიული სახელების, გეოგრაფიული ობიექტების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის პრობლემური საკითხების იდენტიფიკაცია, რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო ენის ექსპერტთა საბჭოსთან და დარგის სპეციალისტებთან ერთად, სათანადო ორგანოებითვის ამ რეკომენდაციების წარდგენა;
15. აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;
16. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებით პროექტების მომზადება.